ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

# 3 (9943) • 30 ianvari • 2012 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

## გაზეთი „ალიონი“ გურიაში „ახალი წესრიგის“ დამყარების მცდელობას ეწირება

გაზეთი „ალიონი“

ბოლო ხუთი წელია პერიოდულად ვაქვეყნებდით მასალებს გაზეთ „ალიონზე“ ხელისუფლების ზეწოლის შესახებ. ვამბობდით, რომ ხელისუფლება ცდილობს არაჯანსაღი, არათანაბარი კონკურენციის პირობებში ამყოფონ გაზეთები, რისთვისაც აქტიურად იყო ჩართული საბიუჯეტო თანხები. დღეს, როცა ხელისუფლების ცალკეული ჯგუფი მიზანმიმართულად ებრძვის მედია თუ სხვა ორგანიზაციებს, ჟურნალისტების პროტესტი მათზე დიდ გავლენას ვერ ახდენს, მით უმეტეს, როდესაც იციან, რომ ამისთვის მათ არავინ დასჯის, პირიქით, შეიძლება დააწინაურონ.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: 2005 წლის 16 ივლისის ხანძარმა ძალზე დააზარალა გაზეთი „ალიონი.“ განადგურდა რედაქციის ქონება და დაიკარგა სამუშაო ფართი. ხელისუფლებამ ხანძარში მოხვედრილ არაერთ ორგანიზაციას შეუწყო ხელი ფართის მოძიებაში, მაგრამ დაზარალებული გაზეთის დასახმარებლად არაფერი უღონიათ. რედაქცია ამჟამად იმყოფება ყოფილი ქალაქის საბჭოს მუნიციპალური შენობის I სართულზე, რომელიც გარე დერეფნის ჩათვლით ავარიულ მდგომარეობაშია და აქ ადამიანების მოძრაობა სახიფათოა. მუნიციპალიტეტს რამდენჯერმე მივმართეთ წერილობით, უზუფრუქტით გადმოეცათ რედაქციის ამჟამინდელი ფართი, მაგრამ ჯერ-ჯერობით პასუხი ვერ მივიღეთ.

გაზეთს არ მიეცა პროექტების განხორციელების საშუალება. ვწერდით და კვლავ ვიმეორებთ, რომ გაზეთს არ განახორციელებინეს რეგიონული მედიის ასოციაციის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც ქ. ოზურგეთში საგაზეთო ჯიხურის დადგმას და მოსახლეობისათვის რეგიონული პრესის ხელმისაწვდომობის გაზრდას ითვალისწინებდა. თავდაპირველი შეთანხმება შეცვალეს და „ალიონის“ ჯიხურის დასდგმელ ადგილზე ლოტოს ჯიხური დადგეს.

2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას ხელისუფლებამ ოზურგეთში „ექსპერიმენტი“ ჩაატარა და სარეკლამო ხელშეკრულება ჩვენთან არ გააფორმა. ბუნებრივია „ალიონში“ დაირღვა პოლიტიკური სპექტრის მიერ გამოქვეყნებული მასალების ბალანსი. ხელისუფლება ამ ბალანსის „აღდგენას“ დაშინების გზით შეეცადა და ძალოვნები ჩართეს... სამწუხაროდ, ეს დამოკიდებულება მას შემდეგ დიდად არ შეცვლილა. კვლავ გრძელდება ხელშეშლა გაზეთის დისტრიბუციაში. რიგი საჯარო დაწესებულებები გვეუბნებიან, რომ მათ გაზეთ „ალიონის“ გამოწერას უკრძალავენ. განსაკუთრებით ეს აკრძალვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში იგრძნობა. ამ ბოლო დროს ცალკეულ ბიზნესმენებსაც „ურჩევენ“ არ გამოიწერონ გაზეთი „ალიონი“ და არ განათავსონ რეკლამა ამ გაზეთში. მაგ. გაზეთის ერთ-ერთმა სტაჟიანმა ხელისმომწერმა, რომელიც ოზურგეთში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესმენია, წელს გაზეთთან ურთიერთობაზე თანაშემწის საშუალებით „ზრდილობიანი“ უარი განაცხადა. შევეცადეთ თავად ბიზნესმენიდან გაგვეგო, „ფერისცვალების“ მიზეზი. დავურეკეთ: „მე გადმოგირეკავთო!“ ამ პასუხით სამუდამოდ დაგვემშვიდობა.

**იმას, რომ 2011 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ მედიასაშუალებებზე გაცემული 20548 ლარიდან „ალიონს“ განცხადებების გამოსაქვეყნებლად მხოლოდ 90 ლარი გადაურიცხეს, არ მიგვაჩნია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პოზიციად. ასეთი საკითხები უფრო მაღლა წყდება.**

სამწუხაროდ, არასახარბიელო მდგომარეობაა თავად მედიასაშუალებების ურთიერთობებში, რითაც ასევე კარგად სარგებლობს ხელისუფლება.

▶▶▶ გვ-2



## ექიმთა უკმაყოფილება გრძელდება

გაზეთი „ალიონი“



**25 იანვარს გავრცელდა ხმები „ავერსის“ მიერ აგებულ „მედ-ალფას“ კლინიკაში–სამედიცინო ცენტრში ექიმებმა, ხელფასზე დამატებით 20%-იანი „სახარჯო“ დაქვითვის გამო ხელმოწერები შეაგროვეს. ამბობდნენ, ღამით „მეამბოხე“ ექიმებთან შესახვედრად თავად ჯანდაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე უნდა ჩამოსულიყო... მეორე დილით სამედიცინო მომსახურების ცენტრში „მედ-ალფას“ კლინიკის გენერალური დირექტორი ზაზა ჯაფარიძე, მისი მოადგილე ეკა ქავთარაძე ჩამოვიდნენ. ისინი 39 ხელმომწერ ექიმსა და ექთანს ცალ-ცალკე შეხვდნენ.**

▶▶▶ გვ-2

## ექადიელებს სახნავ-სათესი ფართობები „აახიეს“

ნუგზარ ასათიანი

**ექადიელთა 22 ოჯახი პრეზიდენტის ნაჩუქარი 30-ლარიანი ვაუჩერით დანიშნულებისამებრ ვერ ისარგებლებენ, ვინაიდან მათ სახნავ-სათესი ეკონომიკის სამინისტრომ გაუყიდა. ისინი ხელისუფლების მათდამი დამოკიდებულებას არასამართლიანს უწოდებენ.**

ქ. ოზურგეთის განაპირა უბანში–ექადიაზე 1930 წლიდან არსებობდა კოლმეურნეობა და გარდა ექადიისა, აქაურები ათეულ ჰექტრობით სახნავ-სათესს ფლობდნენ მერიის, ლეკიანის, ნატანების ტერიტორიებზე. პრივატიზაციის პროცესში იმის გამო, რომ ნატანებ-ლეკიანის სახნავ-სათესი 3-კილომეტრიან ზოლში იყო, მოსახლეობას არ გადაეცა. ხოლო შემდგომ ჯერ იჯარით გასცეს, ხოლო შემდეგ გაიყიდა. წლების მანძილზე ექადიელთა არაერთი სავარგული მოხდა ქალაქის განაშენიანების თუ ახალი საწარმოს აგების საჭიროებაში. მაგ. ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხანა ექადიის ყოფილი ბოსტნის ტერიტორიაზე აიგო. ეს ტერიტორია ლიხაურის კვაჭალათის გაგრძელებაა და გასული საუკუნის 50-იანი, 60-იანი წლებიდან მოყოლებული აქ ცეცხლაძეებს, თავაძეებს, ვასაძეებს, საჯაიას, შავიშვილს, თავდუმაძეს, კუპრაძეს, ძნელაძეს, თუმანიანს, პაპავას თუ სხვა საყანე ფართობის მფლობელს ათეულობით სატვირთო მანქანა ქვა ჰქონდათ ხელით აღებული. ერთ-ერთს–ბედუნი ჯინჭარაძეს იმდენი ქვაღორღის აღება მოუწია, ფართობის მიმდებარედ საშუალო სიდიდის ციხე-სიმაგრესავით მოყორილი შეიქმნა.

▶▶▶ გვ-3

## შეხვედრები მოსახლეობასთან



პროექტებს, რომელიც სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, თავად მოსახლეობა შეარჩევს. საჭიროებებისა და პრიორიტეტების კვლევას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან და ხალხთან ერთად ახდენენ.

მთისპირი, მერია, კონჭკათი, სილაური, ჯუმათი, ბაილეთი, ნარუჯა, ასკანა, ბახვი, ნაგომარი, ვაკიჯვარი, ლიხაური - ამ სოფლების მცხოვრებლებმა შეხვედრებზე უკვე დაასახელეს ის პრობლემები, რომელთა გადაჭრასაც პირველ რიგში მიიჩნევენ.

— "ჩვენ ვახდენთ პრობლემების იდენტიფიცირებას უშუალოდ მოსახლეობისგან. შეხვედრებზე საკმაოდ აქტიური მსჯელობა იმართება, იმ საკითხებზე, რომელიც ხალხს აწუხებს. ამ ჩამონათვალშია გზის გაკეთება, წყლის მილების შეცვლა, სასაფლაოს და საყანე ფართობების შემოღობვა და სხვა. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები გააკეთებენ თითოეული დასახელებული პრიორიტეტების შესაბამისად, პროექტის ხარჯთაღრიცხვას და უკვე მარტის დასაწყისში, როდესაც გაიმართება მეორე ეტაპი შეხვედრებისა, მოსახლეობას ეცოდინება თუ რა ღირს თითოეული პროექტია და ამის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, რა უნდა გაკეთდეს"- განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ, ალეკო მამეშვილმა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, ილია ვაშაყმაძის განცხადებით — "მოსახლეობა ინფორმირებულია შეხვედრების შესახებ, აუცილებელია თითოეული ადამიანის აქტიურობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მაღალი ჩართულობა, რადგან მთავარი მიზანი ჩვენი შეხვედრებისა არის ის, რომ მოსახლეობამ გაიგოს, რას მოხმარდება მათი სოფლისთვის განკუთვნილი თანხა."

სოფლის განვითარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, შეხვედრები სოფლებში კვლავ გაგრძელდება. პირველ ეტაპზე მოხდება ყველა იმ პროექტის ხარჯთაღრიცხვის მომზადება, რომელიც მოსაგვარებელია სოფლებში, შემდეგ კი მოსახლეობა თავად აირჩევს, თუ რომელია პრიორიტეტული და პირველ ეტაპზე გადასაჭრელი.

**საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება**

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
|  მოღრუბლული +2+6 |  წვიმიანი თოვლი +2+7 |  თოვლი -2+3 |  თოვლი -4+2 |  მოღრუბლული +1+6 |  მზე +0+10 |  მოღრუბლული +2+14 |
| 30 იანვარი, ორშაბათი | 31 იანვარი, სამშაბათი | 1 თებერვალი, ოთხშაბათი | 2 თებერვალი, ხუთშაბათი | 3 თებერვალი, პარასკევი | 4 თებერვალი შაბათი | 5 თებერვალი, კვირა |

# გაზეთი „ალიონი“ გურიაში „ახალი წესრიგის“ დამყარების მცდელობას ეწირება

შარშან, 21 მარტს, ქართული ჟურნალისტიკის დღეს გაზეთმა „ალიონმა“ საპროტესტოა აქცია გამართა, რომლის მთავარი მოთხოვნა იყო „შეწყდეს ზეწოლა გაზეთ „ალიონზე.“ამ აქციას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

გაზეთ „ალიონის“ჟურნალისტებს არ ეძლევა საშუალება მნიშვნელოვანი შეხვედრების, მოვლენების მოწმენი გახდნენ. ასეთ ინფორმაციას მხოლოდ ხელისუფლების ფავორიტ ჟურნალისტებს აწვდიან. დეკემბერში, საქართველოს პრეზიდენტის მიერ სამედიცინო ცენტრის გახსნაზე ადგილობრივი ჟურნალისტები არ მიუწვევიათ. თუ ამას დავუმატებთ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“კანონის 26 პრიმა მუხლით, კიდევ უფრო გაიზრდება ტოტალური კონტროლი არასამთავრობო სექტორზე, მედიაზე, გასაგები იქნება რეგიონებში კიდევ უფრო როგორ დამძიმდება მედიის მდგომარეობა.

ამჟამად გაზეთის ისტორია 81 წელს ითვლის. ერთადერთი ნათელი წერტილი გაზეთ „ალიონისათვის,“ შარშან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გაზეთის მიერ წარდგენილი საგრანტო განაცხადის ნაწილობრივ დაფინანსება იყო, რითაც შესაძლებელია „ალიონის“უნიკალური არქივის ნაწილობრივი ელექტრონული ვერსიის შექმნა, რომელშიც მთავარი ადგილი 1937 წლის რეპრესიების ამსახველ მასალებს დაეთმობა.

როცა გებრძვიან, მაგრამ იცი „დანაშაული“ მხოლოდ ის არის, რომ არავის დაკვეთებს არ ასრულებ, გიჩნდება პროტესტის გრძნობა და ფიქრობ, როგორ დაძლიო იგი, თანაც იმ დროს, როდესაც საზოგადოებას უამრავი პრობლემა აწუხებს და მედიის თანადგომა სჭირდება. ვხედავთ, გაზეთი „ალიონი“გურიის ხელისუფლების ერთი ჯგუფის მიერ გურიაში „ახალი წესრიგის“დამყარების მცდელობას ეწირება. ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ კორექტული და ჯერ-ჯერობით ყველაფრის თქმისგან თავს ვიკავებთ. ხელისუფლებისაგანაც ცივილურ ურთიერთობებს ვითხოვთ.

**გაზეთი „ალიონი“ მიმართავს გაზეთის ყველა იმ გულშემატკივარს, მხარდამჭერს, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფალი სიტყვა, ოზურგეთის ისტორია– დაგვიდექით გვერდით. ჩვენ ვცდილობთ უახლოესი დროის სწორი ისტორია დავუტოვოთ მომავალ თაობებს!**

## პრესრელიზი

### გურიის „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის თემურ სალუქვაძის განცხადება




გურიაში ვერცერთი პროექტი ან ფონდი ვერ გადაფარავს თავისუფლებისა და დემოკრატიის წყურვილს.

ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები ვაპროტესტებთ ოზურგეთსა და მთლიანად გურიაში ბოლო პერიოდში რამაზ ნიკოლაიშვილის პიროვნული კონტროლის გაძლიერებას, რაც პირდაპირ უკავშირდება არჩევნების მოახლოებას.

ნიკოლაიშვილის კონტროლის სფერო ვრცელდება არა მარტო პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განათლების სფეროსა თუ სხვა საჯარო სამსახურებზე, არამედ გადავიდა კერძო სექტორშიც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ასეთი ტოტალური კონტროლი წარმოადგენს უკიდურესად არასასურველ და საშიშ გარემოს სამართლიანი არჩევნების ჩატარებისათვის

პირდაპირ მინდა ვუთხრა, თავისუფალი დემოკრატების სახელით ბატონ რამაზ ნიკოლაიშვილს: თავი დაანებოს გურულების დაშინებასა, რადგან ამით არაფერი გამოუვა და ეს ყველაფერი მას ბუმერანგივით უკან დაუბრუნდება. თქვენ, თქვენი გარემოცვის ძალისხმევით, არასწორი შეხედულება გაგაჩნიათ გურიასა და გურულობის მიმართ. გულწრფელად მინდა განვაცხადო ბატონ რამაზ ნიკოლაიშვილის საყურადღებოდ: რეალურად, რომ იცოდეთ გურულების დამოკიდებულება, ასეთი ქმედებებისაგან თავს შეიკავებდით.

ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და მისი პოლიტიკური პარტნიორების გაერთიანებამ, რასაც მოყვა ძალაუფლების დაკარგვის პანიკური შიში, ხელისუფლება ჰიპერაქტიური გახადა და ეს ტემპიც ამითაა გამოწვეული. ხელისუფლებაში ყოფნის მეცხრე წელს, გურიაზე მზრუნველობის სურვილის გაჩენაც ამას უკავშირდება, რასაც მოსახლეობა ბრწინვალედ ხვდება.

ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები ვაცხადებთ, რომ გურიაში ვერცერთი პროექტი ან ფონდი ვერ გადაფარავს თავისუფლებისა და დემოკრატიის წყურვილს.

ვპირდებით საზოგადოებას, რომ სულ მალე სრულიად ახალ პოლიტიკურ რეალობაში განვახორციელებთ თითოეული ჩვენგანის ოცნების ახდენას

## 106 პედაგოგის პროფესიული გადამზადება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანადაფინანსებით, ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებელთა პროფესიულ გადამზადებს გეგმავს. 106 პედაგოგს პროფესიულ ჩვევებში ტრენინგ-სემიინარები ეტაპობრივად ჩაუტარდებათ. გადამზადებული პედაგოგები აღსაზრდელთა სწავლებაში ახალი სტანდარტებითა და თანამედროვე ლიტერატურით იხელმძღვანელებენ.

# ექიმთა უკმაყოფილება გრძელდება



გაზეთი „ალიონი“ დღის განმავლობაში იკვლევდა თუ რა იყო „კურტანიძის კლინიკაში“სამედიცინო პერსონალის მღელვარების მიზეზი, თუმცა ექიმები ყოველგვარ კომენტარისაგან თავს იკავებდნენ. რაც შეეხება პაციენტებს, ისინი ვისაც სადაზღვევო პოლისი არ ჰქონდათ, ექიმთან ვიზიტისას მომატებულ ფასებს აღნიშნავდნენ. ერთ-ერთმა ისიც გვითხრა, რომ სამედიცინო ცენტრში თერაპევტთან ვიზიტისთვის გაორმაგებული ფასი დახვდა და ექიმის მომსახურებით ვერ ისარგებლა...

ერთ-ერთმა ექიმმა მხოლოდ ის გვითხრა, რომ ის ხელფასი მაინც შეგვინარჩუნონ, რაც დაგვინიშნესო...

დღის ბოლოს ცენტრის დირექტორს კლინიკურ დარგში დავით მდინარაძეს შევხვდით.

დავით მდინარაძეს არ უარყვია, რომ ცენტრის თანამშრომლებს ჰქონდათ პრეტენზია ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მაგრამ სპეციალისტებმა მათ დაუანგარიშეს, აუხსნეს და ამჟამად პრეტენზიები აღარ არისო—გვითხრა.

დავით მდინარაძის თქმით, ეს კლინიკა კერძო ინვესტიციით აიგო, კერძოა და ბუნებრივია კერძო იგი მოგებზე უნდა იყოს ორიენტირებული. აქ პირობები გაცილებით უკეთესია, უფრო მოწესრიგებულია, ვიდრე ძველ საავადმყოფოში იყო. მეტია დანახარჯებიც. მაგალითად საავადმყოფოს გახსნიდან ერთ თვეში გაზით გათბობაზე 12 000 ლარი დაიხარჯა. ნებისმიერი დანახარჯი შემოსავლებიდან უნდა დაიფაროს. ჯერ-ჯერობით კი ყველაფერი არ არის დაბალანსებული. არ ჰყავთ ქირურგი ტრამვატოლოგიაში, თვალის, ყელ-ყურის სპეციალიტები, რომლებიც ასევე ოპერაციებსაც გააკეთებენ. ეს, ბუნებრივია, შემოსავლებზე ახდენს გავლენას.

დავით მდინარაძე არ ეთანხმება იმ აზრს, რომ აქ მომსახურების ფასები მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.

„დასავლეთ საქართველოში ყველაზე დაბალი ფასებია—გვითხრა მან—მაგალითად მშობიარობა 470 ლარი ღირს, საკეისრო კვეთა—870 ლარი..“

დავით მდინარაძის თქმით, კლინიკაში პაციენტების ნაკლებობა არ არის, 26 იანვარს მარტო ამბულატორიულმა სამსახურმა 165 პაციენტი მიიღო. 8-8 პაციენტი წევს ქირურგიულ და თერაპიულ განყოფილებაში, ხოლო სამეანო ბლოკში—4.

—თუ ასეა, მაშინ რატომ არიან უკმაყოფილო ექიმები ანაზღაურებით? ამაზე დავით მდინარაძემ გვიპასუხა, რომ არ შეიძლება ექიმი, რომელიც დღის განმავლობაში ათეულობით პაციენტს ღებულობდეს და მეორე მხოლოდ ერთს ან ორს—-ერთნაირ ანაზღაურებას იღებდეს. გათვალისწინებული იქნა ადგილობრივი პირობები და იმაზე მეტი სამედიცინო პერსონალია შენარჩუნებული, ვიდრე ეს აუცილებლობით იყო საჭირო...

ჩვენ რამდენიმე ექიმსაც შევხდით, რომლებსაც განცხადებაზე აქვთ ხელი მოწერილი (მათ გვარებს არ ვასახელებთ).

**ექიმებმა დაადასტურეს ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემები. ამასთანავე გვითხრეს, რომ ისინი შეხვდნენ „მედ-ალფას“გენერალურ დირექტორს და გარკვეული განმარტებები მიიღეს. ერთ-ერთმა ექიმმა აღნიშნა, რომ გარდა ხელფასისა, სადაც „ხარჯების“ გამო დამატებით 20 პროცენტი უნდა დაექვითათ, ძალზე მნიშვნელოვანია როგორ მოექცევიან მათ, როგორი იქნება მათი შრომის პირობები. მათთვის ასეთი დამაცირებელი დამოკიდებულება, რაც კლინიკაშია, მიუღებელია. ან როგორ შეიძლება ყველა ექიმს, სპეციფიკიდან გამომდინარე, ანაზღაურება გამომუშავებით ეძლეოდეს? ალტერნატივაც უნდა არსებობდეს და პაციენტმა უნდა გადაწყვიტოს კერძო კლინიკას უნდა მიმართოს თუ მუნიციპალურს. შეეძლოთ ბალტიისპირეთის გამოცდილება გაეზიარებინათ...**

ვერ დავაკონკრეტეთ, საერთოთ აღებული ჰქონდათ თუა არა მედიკებს ხელფასი.

ბუნებრივია, როცა ერთი ბიზნესმენის ხელშია კლინიკა, დაზღვევა და საავთიაქო ქსელი, იქ კითხვები მუდამ იარსებებს. სახელმწიფომ მხოლოდ ფორმალური კონტროლი დიატოვა, დანარჩენი კურტანიძისა და სხვა ბიზნესმენების სინდის-ნამუსაზეა, რასაც კაპიტალიზმის კანონები, მით უმეტეს, როცა დარგი მონოპოლიზირებულია, არ ცნობს.

ასეთი პრობლემებით საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებშიც არის. მაგ. ლაგოდეხელები საქართველოს პრეზიდენტს ძველი კლინიკის აღდგენას სთხოვენ...

გაზეთ „ალიონის“რედაქცია „მედ-ალფას“კლინიკაში ექიმთა პრობლემებს კვლავ დაუბრუნდება.

# რესურსცენტრმა გასული წლის შედეგები შეაჯამა

მარი კოძოევი

ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა გასული 2011 წლის შედეგები შეაჯამა და მომავალი 2012 წლისთვის დასახული გეგმები გაახმოვანა. ამ მიზნით რესურსცენტრმა ოზურგეთის სკოლების დირექტორები და პედაგოგები რესტორან „გურიაში" შეკრიბა. საპატიო სტუმრად საქართველოს ინფრასტრუქტურის და რეგიონული მართვის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილი ჰყავდათ.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ მთელი წელი დატვირთული რეჟიმით მუშაობას მიჩვეულებმა გართობისთვისაც მოიცალეს. ჭიქა სასმისით ერთმანეთს მიმდინარე დღესასწაულები მიულოცეს, საუკეთესო სურვილები უსურვეს. ამ დღეს თითოეული მათგანი ყოველდღიურობისაგან განსხვავებული იყო. აღმოჩნდა რომ პროფესიაში ნიჭიერებს ლექსის მხატვრულად კითხვის, სიმღერის, ცეკვის და მსახიობობის ნიჭიც ქონიათ, რაც სცენაზე დაამტკიცეს კიდეც.

საღამოს მესამე საჯარო სკოლის დირექტორი, ნანა გაგუა უძღებოდა. წამყვანმა სხვადასხვა ნომინაციაში გაარჯვებულები



დირექტორები დაასახელა და თითოეულ მათგანზე დაწერილი კაფიები წაიკითხა, რომლთა ავტორიც რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ირინა ინარიძეა.

# ბაღების თანამშრომლებს 2012 წლიდან 12 თვიან შრომით ხელშკრულება გაუფორმდებათ და უფასო სამედიცინო დაზღვევას მიიღებენ

მხარის გუბერნატორის ვალერიან ჩიტაიშვილის ინიციატივითა და სკარებულოს გადაწყვეტილებით ფილიალის ყველა თანამშრომელი, რომლებთანაც გაფორმებული იყო 11 თვიანი შრომითი ხელშეკრულება შეიცვალა. ახალი სასწავლო წლიდან თანამშრომლებს გაუფორმდებათ 12 თვიანი შრომითი ხელშეკრულება. შესაბამისად ცენტრის ფილიალებში დასაქმებული მოქალაქეები ხელფასს წლის განმავლობაში უწყვეტად მიიღებენ.

ასევე გუბერნატორის გადაწყვეტილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის და ფილიალების ყველა თანამშრომელი 2012 წლიდან დაზღვევის ახალ პაკეტს მიიღებენ, რომლის საფასურსაც სრულად მუნიციპალიტეტის საკრებულო დაფარავს. დაზღვევის პაკეტში შედის გეგმიური, ჰოსპიტალური მომსახურების, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების, გადადუდებელი ჰოსპიტლაური (სტაციონალური) მომსხაურების და სხვადასხვა სახის 100%-იანი დაზღვევა. ასევე გათვალისწინებული იქნება ორსულების მშობიარობისა და სტომატოლოგიის დაზღვევა თანადაფინანსებით.

ცენტრის დირექტორის მაკა ჭყონიას თქმით, მხარის რწმუნებულის ინიციატივა და საკრებულოს მხარდაჭერა თითოეული ჩვენთაგანისთვის და ფილიალების თანამშრომელთათვის სტიმული და მოტივაცია იქნება სამომავლოდ ეფექტური და შედეგიანი მუშაობისთვის, შემდგომში კი პრობლემების ძირეული აღმოვფხვრისთვის.

# ექადიელებს სახნავ-სათესი ფართობები „აახიეს“

პრივატიზაციის დროს აქ 22 ექადიელს ჰქონდა მიწის ნაკვეთი. ქ. ოზურგეთის საქალაქო საბჭოს თავკაცებმა საპრივატიზაციო კომისიას მაშინ ურჩიეს მანქანათმშენებელი ქარხნის მომდებარე მიწები ოფიციალურად არ გაეცათ, რადგან შესაძლებელია ქალაქის განაშენიანების წითელ ზოლში მოხვედრილიყო. დარჩა ასე 22 ოჯახი გაუფორმებელი სახნავ-სათესით. აქედან ნაწილს სხვა საყანე ფართობი არ გააჩნიათ. მათ სულზე მოუსწრო კანონმა „სახელმწიფო ქონების ლეგალიზაციის შესახებ“, მაგრამ...

ექადიელებმა 2008 წლის გაზაფხულზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან არსებულ ლეგალიზაციის კომისიას მიმართეს. კომისიამ ჩამოუწერა ლეგალიზაციის მსურველებს იმ საბუთების ჩამონათვალი, არც ლეგალიზაციისათვის იყო საჭირო. თან რეკომენდაცია მოაყოლეს, რომ აქ საკმარისი ფართობი იყო იმისათვის, რომ საყანე ფართობის მსურველ, ასევე ექადიელ ნ.ვ-სთვის მიეცათ 0,2 ჰექტარი მიწის ფართობი. (ადრე მისი ბაბუა ფლობდა იქ მიწის ნაკვეთს). ამ საკითხზე იმჟამინდელი მიწის მფლობელებს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო.

2008 წლის 15 აპრილს შედგა ახალი ამხანაგობის–„ექადია-2“-ის დამფუძნებელი კრება. ამონარიდი ოქმიდან: „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვაცხადებთ, რა სურვილს „სახელმწიფო ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დავაკანონოთ ქ. ოზურგეთში თაყაიშვილის ქუჩაზე, შპს „ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხნის“მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საკუთრებაში რიცხული, ამჟამად კი თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც ჩვენს ფაქტიურ მფლობელობაშია და რომლის ფართობია 3,77 ჰა, ვქმნით ამხანაგობას, სახელწოდებით „ექადია-2,“დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ნაჩვენები შემადგენლობითა და ლეგალიზაციის ქვემდებარე მიწის ნაკვეთის განაწილებაში ქვემოთ მოყვანილი წილობრივი მონაწილებით..“

ამხანაგობის წევრებმა პირველ რიგში მიწების ლეგალიზაციასთან დაკავშირებული აზომვითი ნახაზისა და საკადასტრო რუქის ელექტრონული ვერსიის მომზადების საფასური 1190 ლარი შეაგროვეს და 2008 წლის 19 მაისს გადარიცხეს სახალხო ბანკში „ულტრა იეს“-ის ანგარიშზე. პარალერულად ნოტარიულად, მოწმეების საფუძველზე დაადასტურეს, რომ კონკრეტულ ფართობებს ისინი ფლობდნენ ათეული წლების მანძილზე.

ფიზიკური და კერძო იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების გამცემი კომისიის იმჟამინდელი თავმჯდომარე, საკრებულოს წევრი ვალია გირკელიძე და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტები, მიწის ამზომველები რამდენჯერე იყვნენ საყანე ფართობებში. იმჟამად მხოლოდ მიწის მფლობელთა ერთი ჯგუფი ნ.ვ-ძისათვის მიწის ნაკვეთის მიცემაზე ამბობდა უარს, რამაც ეს თემა ცოტათი შეაჩერა.

**ამ პერიოდში ლეგალიზაციის კომისიის საქმიანობით პროკურატურა დაინტერესდა და კომისიაში განცხადებების და მომზადებული საბუთების მიღება შეწყდა.**

**ამხანაგობა „ექადია-2“-ის წევრები ამაოდ ელოდნენ კომისიის მუშაობის განახლებას. მათ ამ პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც კი მიმართეს წერილობითი განცხადებით.**

უნდა აღინიშნოს, რომ მიწის მფლობელები აქტიურად უჭერდნენ მხარს „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებზე და მათი ოჯახების წევრები საარჩევნო კომისიების მუშაობაშიც კი მონაწილეობდნენ. ადგილობრივი დასაპარლამენტო არჩევნების დროს, შეხვედრისას პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გოჩა შანიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ალეკო მამეშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელები ექადიელებს მიწის გაფორმების პრობლემის მოგვარებას შეპირდნენ, მაგრამ დამთავრდა არჩევნები და დაპირება დაპირებად დარჩა.

შემდეგ ყოველწლიურად შეჰქონდათ ლეგალიზაციის კანონში ცვლილებები. ექადიელები ხნავდნენ და თესავდნენ მათ მფლობელობაში არსებულ ფართობებს.

შარშან, გაზაფხულზე გივია თარგამაძის „ბლექსი გრუპი“რომ შემოვიდა ექადიაზე და მძლავრი ასფალტის ქარხანა გახსნა, ექადიელებმა თქვეს:–ამათ ვიღაც აუცილებლად მოჰყვება და ჩვენს მიწებს დაადგამს თვალსო.

ვერ გეტყვით, რა კავშირშია ამ საქმესთან „ბლექსი გრუპი,“მაგრამ რამდენიმე დღის წინ ხმა გავრცელდა –ექადიელთა მიწებს ახალი მეპატრონე ჰყავსო.

მართლაც 2012 წლის 16 იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში შევიდა შალვა საღირაშვილის განცხადება, რათა მისთვის დაერეგისტრირებინათ აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება–36801.00კვ. მეტრი სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთი, რაც რეესტრმა 2 დღის შემდეგ დაარეგისტრირა.

ბატონ შალვას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ფართობი აქვს, კერძოდ ნატანებში (ზღვისპირეთში) 3000,00 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი. იგი საგურამოშიც ფლობს 1104,00კვ. მეტრ მიწის ნაკვეთს.

როგორც გაზეთმა „ალიონმა“ მოიკვლია, ექადიელთა მიწებზე საკადასტრო ნახაზები საქართველოს მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის ქუთაისის რეგიონული ოფისის (დირექტორი შალვა კაპანაძე) ოზურგეთის წარმომადგენლებმა შეასრულეს. (?!) სამუშაოები იმ დროს შესრულდა, როცა იქ ყანები დათესილი იყო.

**ანიკო ცეცხლაძე,**–ჩვენი ოჯახი ექადიაზე საუკუნეზე მეტია ცხოვრობს. რა გაჭირვება არ გადაუტანია ჩვენს ოჯახს. აღნიშნულ ფართობს 1960 წლიდან ვამუშავებდით. მთელი ცხოვრება ვშრომობდი, მოწინავე მეჩაიე ვიყავი და ორდენი და მედლები მაქვს მიღებული. თუმცა პრივატიზებისას 1000 კვ. მეტრი სახნავ-სათესი ფართობი მომცეს მხოლოდ და ახლა იმასაც მართმევენ. გამიხარდა პრეზიდენტისაგან 30-ლარიანი ვაუჩერი რომ მივიღეთ,მაგრამ რა, ახლა მას დანიშნულებისამებრ ვერ გამოვიყენებ...



ლევან მუჯირის სახლ-კარი

ლევან მუჯირის 6-სულიანი ოჯახი პატარა ქოხში ცხოვრობს. ისინი სოციალურად შეჭირვებულები არიან.

– ამ 1000 კვადრატული სახნავის შემყურე იყო ჩვენი ექვსსულიანი ოჯახი. ახლა წაგვართვეს, რაღა უნდა ვქნათ–გვითხრა **ლევან მუჯირმა.**

**კუკურა თავდუმაძე**–ვინც მაგ მიწაზე მუშაობდა უფროსი თაობა, ახლა ყველა მიწაშია. რამდენი ტონა ქვალორღი აქვთ ხელით გამონატანი. 12 წლის ასაკიდან კოლმეურნეობაში ვიყავი და ხედავთ რა დამმართეს. ამდენი საბუთი ვაგროვეთ, რამდენჯერ ვიყავით მუნიციპალიტეტში. რატომ აღარ აქვეყნებენ აუქციონებს ადგილობრივ გაზეთებში? ვინ ნახულობს აუქციონს კომპიუტერში, ყოველ შემთხვევაში გლეხი არა. თუ მიწები აღარ შეგვარჩინეს, რა უნდა ვქნათ?

**ბიძინა ცენტერაძე,**–აფხაზეთშიც ვიბრძოდი და სამაჩაბლოში. ჩემი ოჯახის წევრები, ახლობლები ამ მთავრობის მომხრეები იყვნენ. ესაა მაგათი დაპირება, მაგ მიწებს არ წაგართმევენო?

**ლუიზა ვასაძე;**–ჩემი მეუღლე ილუშა ვასაძე ნახევარი საუკუნე მაგ მიწებს ამუშავებდა. არც გვაქვს სხვა სახნავ-სათესი. მამის სიკვდილის შემდეგ ვაჟს– ლევანს ოჯახის რჩენის ერთადერთ იმედად ეს სახნავი მიაჩნდა. რა დავაშავეთ, რატომ წაგვართვეს?

ეს და მსგავსი კითხვები მიწის სხვა მფლობელებსაც აქვთ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მიწების ლეგალიზაციის კომისიის ყოფილი თავმჯდომარე **ვალია გირკელიძე** თვლის, რომ ოზურგეთის ხელისუფლება არ იყო წინააღმდეგი „მიწების ლეგალიზაციის შესახებ“კანონის შესაბამისად 22 ოჯახს დაეკანონებინა მიწის ნაკვეთები, მაგრამ თავად ვერ მოწყვნენ და არ დაუთმეს ნ.ვ-ს მიწის ნაკვეთი...

**პეტრე სალუქვაძე,** მუნიციპალიტეტის დეპუტატი, მიწის საკუთრების აღიარების კომისიის თავმჯდომარე: –რატომღაც დამკვიდრდა ტერმინი „ლეგალიზაცია,“სინამდვილეში მიწის კანონში წერია: ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე საკუთრების აღიარება. 2007 წლის 15 სექტემბრამდე, ანუ კანონის ამოქმედებამდე, ვინც დაეუფლა მიწის ნაკვეთებს თვითნებურად, ისინი დღემდე მიმართავს მიწის საკუთრების ამღიარებელ კომისიას და საკითხის განხილვა ხდება ადგილზე. ვათვალიერებთ კონკრეტულ ნაკვეთს, ვიკვლევთ მფლობელობის დადგენა თუ ხდება, შემდეგ განვიხილავთ. ლეგალიზაციას ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთი, რომელიც თავისუფალია და თვითნებურად არის დაკავებული. თუ დაინტერესებულმა პირმა, ან პირებმა განცხადება შემოიტანეს ლეგალიზაციის კომისიაში, იგი 2 თვის ვადაში უნდა განეხილათ (შეეძლოთ ვადა 6 თვემდე გაეზარდათ), მაგრამ თუ არ განიხილეს, გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში... მაგ კონკრეტულ შემთხვევაში თუ განცხადება არ განიხილა ლეგალიზაციის კომისიამ, საქმე სასამართლოში უნდა დაესრულებინათ.

ექადიელები აპირებენ ყველა კანონიერი გზით იბრძოლონ თავიანთი უფლებების დასაცავად და ამისთვის, როგორც სასამართლოს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართონ.

# ხანძარი „მოდერნში“



შაბათს, დაახლეობით 15 საათსა და 30 წუთზე ჯერ-ჯერობით დაუდგენელი მიზეზით ხანძარი გაჩნდა ოზურგეთში ყველაზე დიდ სავაჭრო სახლ „მოდერნში.“

ხანძარი თავდაპირველად შენობის სხვენში გაჩნდა, რომელიც შემდეგ III სართულზეც გავრცელდა.

ხანძრის ჩასაქრობად მობილიზებული იყო სახანძრო ბრიგადები ოზურგეთიდან, ჩოხატაურიდან, ქობულეთიდან. მეხანძრეებს თითქმის სამი საათი დასჭირდათ ხანძრის ჩასაქრობად.

„მოდერნს“მიყენებული აქვს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, რომლის რაოდენობა დადგინდება ელექტროხაზების აღდგენის და ტექნიკის გაშინჯვის შემდეგ.

ამჟამად „მოდერნში“ ხანძრისაგან დაზიანებული ფართის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

არის აზრი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვაჟკაცურად იბრძოლეს სახანძრო ბრიგადებმა, ხელისუფლებამ დროულად უნდა იზრუნოს ოზურგეთის სახანძრო სამსახურისათვის თანამედროვე ტექნიკის შესაძენად.

# ბევრი კარგი რამ შეიძლება გაკეთდეს ქალთა აქტიური მონაწილეობით

**ნინო ნიკოლაიშვილი**



კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ქალთა კლუბის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე რამდენიმე პრობლემური საკითხის გარშემო ისაუბრეს, რომელთა გადაწყვეტაში კლუბის ქალბატონების აქტიური მონაწილეობით, რაც კონკრეტული პრობლემური საკითხის ადვოკატირებისა და ლობირების მეშვეობით, შეიძლება დადებითად გადაწყდეს. რა პრობლემებია პრიორიტეტული და რისი მოგვარება შეიძლება ამ მიმართებით, ამ საკითხებზე რამდენიმე მოსაზრება გამოითქვა. რაც ფონდის კოორდინატორმა მანანა ლეშკაშელმა ჩაიწერა. მეორე დღეს კლუბის რამდენიმე წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ქუთაისში გამართულ ტრენინგში. სადაც ასევე მონაწილეობდნენ ქალბატონები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან. ტრენერი იურისტი ინგა მაღლაფერიძე ადვოკატირებისა და ლობირების ტექნოლოგიებზე ესაუბრა კლუბის წევრებს. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა დარწმუნებული იყო, ბევრი კარგი რამ შეიძლება გაკეთდეს ქალთა აქტიური მონაწილეობით. საღამო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით დამშვენდა. რომელშიც კლუბის წევრებმაც მიიღეს მონაწილეობა.

მეორე დღის დასასრულს მოწამეთას ესტუმრნენ ქალბატონები, მათ თავიანთი შვილები, ოჯახები და სამშობლო შეავედრეს უფალს.

# გალერიაში ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა

**მარი კოძოევი**

ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრში–სამხატვრო გალერეაში ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. საჯარო სკოლებისა და სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა სხვადასხვა ჟანრის ნახატები წარმოადგინეს. მათგან საუკეთესოები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა, რომლის თავმჯდომარეც მხატვარი, ვახტანგ მამეშვილი იყო. გამარჯვებულები 11 ნომინაციაში გამოვლინდა. ორგანიზატორებმა ჩათვალეს, რომ სამხატვრო სკოლისა და საჯარო სკოლების მოსწავლეების ნამუშევრების შეფასება ერთი და იგივე კრიტერიუმებით არ შეიძლებოდა, ამიტომ გადაყვიტეს ხუთი ნომინაცია სამხატვრო სკოლის მოსწავლეებისთვის დაეწესებინათ, ხოლო ექვსი საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის.

ნომინაციები სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს შორის ასე გადანაწილდა. საუკეთესო ფერწერა-ელისაბედ გეგუჩაძე, საუკეთესო გრაფიკა-ეთუნა კონტრიძე, საუკეთესო კომპოზიცია-მიხეილ თავბერიძე, საუკეთესო ქანდაკება- ერეკლე გორდელაძე, საუკეთესო დეკორატიული მოტივი-ნინო გორდელაძე.

დანარჩენი ექვსი ნომინაცია საჯარო სკოლების მოსწავლეებმა გადაინაწილეს. ნორჩი მხატვარი – გიორგი კონტრიძე (გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლა), ნორჩი შემოქმედი – საბა დარჩია (გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლა), საუკეთესო პლასტიკა –გიორგი ჯიჯიეშვილი (მერიის საჯარო სკოლა), ხალხური რეწვა – ქეთევან მოისწრაფიშვილი (მერიის საჯარო სკოლა), საუკეთესო თემა – ნინო ცისკარიძე (კვირიკეთის საჯარო სკოლა), საუკეთესო მხატვრობა – მარიამ სანადირაძე (მე-4 საჯარო სკოლა). მარიამ სანადირაძეს ერგო ასევე სანდრა რულოვსის საჩუქარი რომელიც პირველმა ლედიმ გამოაგზავნა.

ასევე გამოვლინდა გალერიის რჩეული, რომელიც ქრისტინა მუჯირი გახდა. კულტურის ფონდმა კი ლია მეშველიანი დააჯილდოვა. სიგელები გადაეცა გამოფენაში მონაწილე ყველა ბავშვს.

დაჯილდოებას და საშობაო-საანგარიშო გამოფენის გახსნას და საკმაოდ ბევრი დამთვალიერებელი ესწრებოდა.

გამოფენას საკუთარი სიმღერებით ანსამბლ „აბჯარის" მომღერლები ალამაზებდნენ.

## ხსოვნა

# რეზო ქინქლაძე



გამაოგნებელი იყო სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე კაცის ასე უეცარი გასვლა საწუთროდან. მისი სიცოხლე დაკავშირებული იყო დიდ ცოდნასთან, პროფესიონალიზმთან, მეგობრობასთან, ოჯახის განსაკუთრებულ სიყვარულთან და ტკივილთან.

58 წელი არც ცოტაა და არც ბევრი. მთავარია როგორ განვლე შენი სავალი გზა. თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტი იყო. კომუნისტების დროს ადვილი არ იყო აღიარება და შემდეგ უცხოეთში, როგორც დარგის კარგი სპეციალისტი, წასვლა.

ანასეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ვოვა ცანავა იგონებს:–,,მოსკოვიდან, ნიადაგთმცოდნეობის საკავშირო ინსტიტუტიდან დამირეკეს და მთხოვეს, ხომ არ იყო ინსტიტუტში ამ დარგის მცოდნე ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელსაც უცხოეთში სამუშაოდ გააგზავნიდნენ. რეზო ქინქლაძეს მივეცი რეკომენდაცია. იგი მოსკოვში გაემგზავრა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოსკოვიდან კვლავ დაგვირეკეს:–,,ვოვა, ეს როგორი კარგი ახალგაზრდა გამოგვიგზავნე''–მითხრა კოლეგამ. მალე რეზო უცხოეთში გაემგზავრა ორწლიანი მივლინებით, სადაც მან თავისი ცოდნა მოახმარა უცხო ქვეყნის წინსვლას''.

რამდენიმე წელია, რეზო ქინქლაძე გეგმავდა გაზეთ ,,ალიონში''უცხოეთის თავგადასავლების გამოქვეყნებას. როგორ მოხდა იგი აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში სამთავრობო ნაწილებისა და პარტიზანების შეტაკების დროს ბრძოლის შუაგულში, როგორ არიდებდა თავს აღმოსავლურ ,,დელეკატისებს,'' და ა.შ.

საახალწლოდ რეზოს უმცროსი ქალიშვილის მარიამ ქინქლაძის ლექსები დავბეჭდეთ. ამ ლექსებში დიდი აზრი და დიდი ტკივილი იყო გადმოცემული...შვილის ლექსების წიგნად გამოცემას გეგმავდა.

რამდენიმე დღის წინ კი უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ რეზო ქინქლაძე...

# კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

ოზურგეთს ბოლო წლებში არაერთი ღირსეული ადამიანი დააკლდა. მათ შორის უპირველესად თენგიზ გოგოტიშვილს მოვიხსენიებთ.

იგი გურული პოლიფონიური სიმღერების უბადლო შემსრულებლის მიხეილ გოგოტიშვილის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ოზურგეთში ერთ-ერთ წარმატებულ სამშენებლო ორგანიზაციაში დაიწყო მუშაობა. იქედან რაისაბჭოს აღმასკომში მშენებლობის ხარისხის ინსპექტორად გადაიყვანეს. შემდეგ დააწინაურეს და ჯერ რაიკომის ინსტრუქტორად დანიშნეს, შემდეგ კი მრეწველობისა და მშენებლობის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. ბოლოს ერთ-ერთ მსხვილ სამშენებლო ტრესტს ხელმძღვანელობდა.

თენგიზის მეგობრების მოგონებებიდან:

როლანდ თავაძე, ჟურნალისტი: ,,თენგიზი დახვეწილი პროფესიონალი იყო და საქმისადმი ოპტიმალური მიდგომის უნარი და თანდაყოლილი პედაგოგიური ნიჭი ჰქონდა. ისიც ღრმად სიმბოლური და ღვთის ნების აშკარად გამოხატულებად აღიქმება, რომ ცხოვრების ბოლო პერიოდი ბატონმა თენგიზმა, სწორედ მისი სულიერების შესაფერის უწმინდეს საქმეს მოახმარა–სათავეში ჩაუდგა ცნობილი მეცენატის, ზვიად ცეცხლაძის მიერ დაფინანსებულ წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მშენებლობას ისტორიულ სოფელ ბახვში.''

ეთერ ქადეიშვილი, ჟურნალისტი:–,,თენგიზ გოგოტიშვილი!–კაცი, რომელმაც ცხოვრება ისე განვლო, რომ ბევრისათვის მისაბაძი გახდა.



კაცი, რომელსაც მადლიანი მარჯვენა ჰქონდა და რომელიც აღმასვლას, მშენებლობას და სილამაზეს ემსახურებოდა. . .

შენებისა და მშვენების ოსტატს ირგვლივ მყოფთა გახალისების დიდი უნარიც ჰქონდა, ლამაზი იუმორი და გადამდები ხალისი! –აი, რითაც გამოირჩეოდა მეგობართა ფართო წრისაგან.

მაგიდასაც ამშვენებდა და სუფრასაც ჩინებულად უძღვებოდა.

ყველასგან გამორჩეული ლამაზ ოჯახსაც თავკაცობდა.

როგორ ვიცნობდით?

როგორც შესანიშნავ შვილს, მეუღლეს, მამას, ძმას, მეგობარს!

არც სიტყვების ქარისათვის გატანება უყვარდა.

რაჭასაც მიწვდა მისი მადლიანი მარჯვენა. გახსოვთ, 1931 წელს მიწისძვრამ როგორ დანგრია ეს კუთხე, რამდენი ადამიანი დარჩა თავშესაფრის გარეშე? იქ მუშაობდა ტრესტი, რომელსაც თენგიზი თავკაცობდა. რაჭაში სამი საცხოვრებელი სახლი ააგო... ''

მზია ვაშალომიძე, პოეტი, ბახვის საჯარო სკოლის დირექტორი: –,,თენგიზ...გვახსენდები იმ მომენტიდან, როცა პირველი ბელტი ამოითხარა ტაძრის საძირკველზე. გვახსოვს შენი გაფაციცებული მზერა, სიხარულით გაბრწყინებული თვალები, არაჩვეულებრივი ღიმილი, შენი ბედნიერი მოძრაობა. მერე... მერე თანდათან ისახებოდა ღვთის სახლის კონტურები, რკინა-ბეტონის, ხარაჩოების ქაოტურ ზესწრაფვაში აშკარად ხედავდი გასრულებულ ნაგებობას... გულს, სისხლს, ენერგიას, სიყვარულს, ცოდნას, გამოცდილებას, უშურველად იღებდი. ამიტომაც შეგიყვარეს, მიგიღეს, გაგითავისეს ბახველებმა, ყველა ოჯახის საურველ სტუმრად იქეცი.

გვახსოვს, როგორ ოცნებობდი იმ დღეზე, როდესაც საზეიმოდ გაიხსნებოდა ბახვის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია. როგორ ემადლიერებოდი ბატონ ზვიად ცეცხლაძეს, რომ მშენებლობის წარმართვა მოგანდო. ზვიადმა კარგად იცოდა შენი პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა და დამოკიდებულება საქმისადმი, შენი პატიოსნება, ამად ეიმედებოდი.

სამწუხაროდ, დღეს ფიზიკურად აღარ ხარ ჩვენს შორის, თორემ გვჯერა, შენი ლამაზი სული ერთი წუთითაც არ დაგვშორებია. ის აქ, ბახვში, წმინდა ნინოს ტაძრის გუმბათში დაფარფატებს და კედლებს ეფერება. ზეციური საუფლოდან გვითვალთვალებს და გვიღიმის...

დრომ ვერ გააფერმკთალა შენი სახება, ვერ შეძლო დავიწყების ბურუსით დაეფარე. რაც დრო გადის, მეტად გიახლოვდებით, მეტად ახლობელი ხდები. გახსოვდეს–შენს გამო გზად ერთით ნაკლები გავხდით!''

მართლაც, ასეთი კაცი დააკლდა ქალაქს.

**მეგობრები.**

# საშობაო ტურნირები ჭადრაკში

გურიის ჭადრაკის ფედერაციამ ახალი საჭადრაკო სეზონი ტრადიციული საშობაო ტურნირით დაიწყო, რომელიც ერთი კვირას გრძელდებოდა ოზურგეთის ახლადრეაბილიტირებულ საჭადრაკო კლუბში.

შეჯიბრება, რომელსიც 14 მოჭადრაკე ჩაერთო, საინტერესოდ წარიმართა. საბოლოოდ გამარჯვება გიორგი გოგოლაურს ერგო, რომელმაც 13 შესაძლებლობიდან 11, 5ქულა დააგროვა (იგი მანმადე ორჯერ ფლობდა გურიის ვიცეჩემპიონის ტიტულს). ნახევარი ქულით ნაკლები დააგროვა ოზურგეთის რაიონის მოქმედმა ჩემპიონმა გიორგი გივი სიამაშვილმა, ხოლო III ადგილი 9,5 ქულით ასკანის აჯარო სკოლის პედაგოგმა, ოსტატობის კანდიდატმა დავით კილურაძემ მოიპოვა. უნდა აღინისნოს, ახალგაზრდა აკაკი გოგუას კარგი თამაში, რომელმაც 9 ქულით ამჯერად IV ადგილზე გავიდა. (შარშან, მან რაიონის პირველობაზე III ადგილი დაიკავა).

შეჯიბრება გურიის ჭადრაკის ფედერაციისა ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში კი ოზურგეთელი მედიკოსები ნესიკო თოიძე, დათო დოლიძე, გივი ნინიძე თეატრის ადმინისტრაციული პერსონალის წარმოადგენლებს და მსახიობებს ბახუტა ოთმეზურს, ომარ ურუშაძეს და ჯემალ კეჭაყმაძეს შეხვდნენ. ორტურიანი შეხვედრაში მცირე უპირატესობით მედიკებმა გაიმარჯვეს.

# სოსო გურული



მოულოდნელად გარდაიცვალა აგროსამრეწველო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი სოსო ვასილის ძე გურული.

იგი დაიბადა 1940 წელს, სოფ.შრომაში, მოსამსახურის ოჯახში. სოფ. შრომის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ 1966 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში. თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში გაიარა შემოქმედებითი გზა რიგითი ინჟინრიდან მექანიზაციისა და მოწყობილობების გამგის თანამდებობამდე, რომელსაც 30 წელზე მეტი ხელმძღვანელობდა.

სოსო გურულმა 1981 წელს ქ. მოსკოვში წარმატებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი. იგი იყო 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, გამოგონებისა და პატენტის ავტორი. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შემუშავდა არაერთი ახალი მანქანა-მოწყობილობა და ტექნოლოგიური პროცესი, რომლებიც წარმატებით ინერგებოდა ჩაის გადამამუშავებელ საწარმოებში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა მანქანათა სისტემა ფერმერულ და მცირე საწარმოებში ჩაის ფოთლის გადასამუშავებლად.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი ინჟინერი და მკვლევარი, დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ექსპერტი, კარგი მეგობარი და კოლეგა.

ბატონი სოსო გამორჩეულად გულისხმიერი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, გვერდში მდგომი, კეთილშობილებით აღვსილი ადამიანი, მზრუნველი მამა, რომლის ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრებისა და კოლეგების გულში.

**საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკულ კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის კოლექტივი.**

# ვალერი გაგუა

არაფერი რჩება ამ ქვეყნად ისე მყარად და ლამაზად, როგორც კარგი, ღირსეული კაცის სახელი. რომელიც იმ ქვეყნადაც თან მიჰყვება და სალბუნად ეფინება მის სულს მარადიულ სამყოფელში. ასე, უსაზღვროდ დიდი სიყვარულით, იცხოვრე 62 წელი. შენს სიტყვას და ნაკეთებ საქმეს წონაც ჰქონდა და ფასიც, რადგან, რასაც ამბობდი და აკეთებდი, გულით, გონებით და სიკეთით აკეთებდი მხოლოდ. არ იყო ადვილი, კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი, მეზობელი და თუნდაც კარგი, ალალმართალი კაცის სახელი გეტარებინა. შენ ეს შესძელი, რადგანაც სულიერად ძლიერი, გაწონასწორებული, მოყვასის სიყვარულით იყავი სავსე. ამას ყველა ხედავდა. ამიტომაც საუბრობენ შენზე სიყვარულით, პატივისცემით და ახლა უკვე დიდი სევდით. მოულოდნელად შეჩერდა იმ გულის ცემა, რომელიც ამდენ დიდ გრძნობას იტევდა. მოუშუშებელი ტკივილი დაუტოვე ოჯახს, ახლობლებს, ყველას, ვინც გიცნობდა. სიხარულით ელოდი ახალი წლის



მოსვლას, მონატრებული შვილები და შვილიშვილები ჩამოვლენ, ეზო-კარს აახმიანებენ, მათი მოფერებით გაიხარებო. ჩამოვიდნენ, ახალი წელიც მოვიდა, მაგრამ თვალცრემლიანნი შევხვდით უშენოდ. შენზე მოგონებებსა და შენთვის ლოცვაში გაილია სადღესასწაულო დღეები. 40 დღე გვაშორებს შენგან. უშენობის ტკივილს ფერაფერი შველის. შენზე ნათქვამი ყოველი კარგი სიტყვა და შენთვის ლოცვაა ნუგეში მხოლოდ – ნათელი დაუმკვიდრე უფალო ჩვენი ვალერის სულს...

**ოჯახი, ახლობლები.**

გაზეთ ,,ალიონის'' რედაქცია თანაუგრძნობს ზემფირა და გურამ ბერძენიშვილებს, დედის, **ქეთევან სეფერთელაძე-ბერძენიშვილის** გარდაცვალების გამო

# ბიბლიოთეკას წიგნები გადასცეს

არასამთავრობო ორგანიზაცია "რადარამ"-მა, რომელიც მსოფლიოში უკვე ბესცელერად ქცეული წიგნების ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემას უზრუნველყოფს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა უილიამ ანთოლისის და სტროუბ ტალბოტის წიგნი ,,სწრაფად წინ", რომელიც ორგანიზაციის პირველ პროდუქტს წარმოადგენს.

ეს არის სამეცნიერო სახელმძღვანელო, რომელიც ეხება ისეთ საკითხებს როგორიცაა გლობალიზაცია, ეკონომიკა, გარემოს დაცვა.

,,მივასალმებით ყველა მსგავსი სახის აქტივობას, რომელიც მიმართული იქნება ჩვენი წიგნთა ფონდის კიდევ უფრო გაზრდისკენ და ხელს შეუწყობს საზოგადოების მაქსიმალურად დაინტერესებას და ჩართვას ჩვენს საქმიანობაში, მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია და ჩვენ გადმოგვეცემა ყველა ნაწარმოები, რომელსაც ორგანიზაცია გამოსცემს'' - განაცხადა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლიკა ბაქანიძემ.

წიგნი "სწრაფად წინ" აგრეთვე გადაეცემა ცენტრალური ბიბლიოთეკის ყველა ფილიალს და მუნიციპალიტეტის სკოლებს.

**ცენტრალური ბიბლიოთეკის პრესსამსახური**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru